

**გაზეთი ღირს:**

თვე	მ.წ. კ.	თვე	მ.წ. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერიის

რედაქცია: **საქართველოს**  
ნიკოლოზის ქუჩა, 21.  
ტფილისი.  
**გაზეთის დასაბარებლად**  
და განცხადებებთან დასაბუჯდად  
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ,  
გამაგრტ. საზოგადოების კანცელარიის  
**ფასი განცხადებისა:**  
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ  
16 კობ., მეოთხეზედ—8 კობ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**თავ. გიორგი მინვილის ძე თაქათაიშვილი, კნიაჟნა თამარა მინვილის ასული თაქათაიშვილი და კნ. პელაგია ტუსიშვილი** ღილის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვლებასა პირველი ორი—ძმისა, ხოლო მესამე—ძმის შვილის-შვილისა

**თავ. ღვთისმშობლის ძის თაქათაიშვილისას,** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 18 დეკემბერს, დილის 9 1/2 საათზე, თუმანოვის ქუჩა, საკუთარ სახლში, № 21, საიდგანაც მიცვალებულის გვამს წასვენებენ წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, სადაც წირვა იქნება გარდახდლი. შემდეგ დასაქრძალავად წასვენებენ კუკის მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზედ, რადგანაც სოფელში წასვენება აღარ მოხერხდა გზის უვარგისობისა გამო. (1—186—1)

**აზნაურნი ალექსანდრა და სოფი ივანეს ძენი მხამიძეები** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ 19 ამა დეკემბერს, შაბათს, დილის 9 საათზე, ქ. ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზედ, იმათ საკუთარ სახლში საყვარელის ღედის

**გარკიამ ივანეს ასულის მხამიძის** გვამის გამოსვენებაზედ დასასწრებლად. (1—5.—1)

## ექიმი ი. ია. გოკიელი

მიიღებს სპეციალურად ვენერიულ (სიფილისი), საშარდეს, კანის და შინაგან სნეულობით ავადმყოფთ ეოველ დღეღლით 9—12 საათ., საღამოთი 5—7 საათ.  
კერძოდ შინაგან და კანით ავადმყოფებს შუადღის 12—1 საათამდე აქვე შეიძლება ქიმიურად და მიკროსკოპიულად განხილვა ნახველისა, შარდისა, სისხლის და გადამდების ავადმყოფობისა და სხვა.  
განოვის ქუჩა, სახლი № 31, მარტაშვილისა, სოლოლაკი. (20—185—7)

POUR APPRENDRE LE FRANÇAIS, l'anglais, l'allemand et les langues anciennes le meilleur moyen est de passer

## ფელეტონი

**აღმოსავლეთის საჩემი**  
დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ევროპის ხმელეთის საპოლიტიკო მწვერობამ დადი და განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ევროპულად აღმოსავლეთის საქმეს. ეს არც საკვირველია. აღმოსავლეთის საქმე მართა ევროპის სახელმწიფოთა საღიპლომატო საგანს არ წარმოადგენს. ამ საქმეს დიდი სამეცნიერო და ღრმა რეალური აზრი აქვს. ევროპაში კაპიტალისტურ წყობილების დამკვიდრების პირველ ხანებშივე აღმოსავლეთს ეჭირა ერთი უმთავრესი და უპირატესი ადგილი. დღეს, როდესაც ევროპა სულ ერთიანად კაპიტალიზმით არის შეხუთული და ხერიანად სულიც ვერ მოუბრუნებია, აღმოსავლეთი თითქოს დახშულ ბედის კარს უღებს აუარებელ საქონელთა ნაწარმოებს და ეხლანდელს კაცობრიობას ჰპირდება დიდად შეუმსუბუქოს მძიმე ტვირთი საშინელის გაქრვებისა.  
ადვილად შესაძლებელია, რომ აღმოსავლეთმა მომავალშიც დიდი და შესანიშნავი ადგილი დაიჭიროს, მისი მეოხებით მოსალოდნელია სამე-

Progrès rapides certains, situation magnifique dans un lieu, recommandé par les medecins aux personnes faibles, prix moderés, nombreuses références en Russie, que le prof. Brocher a habité pendant quelques années. (5—უ.—4)

ორშაბათს, 21 ქრისტეშობისთვის, ტფილისის „სობრანიში“ გამართება წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების\* სასარგებლოდ სელაქტურად და სამუსიკო-რომლის შემდეგ იქნება ცეკვა. ბილეთები გაიყიდება კნ. ო. თ. ჭავჭავაძისას, საზოგადოების კანცელარიაში და „სობრანის“ შვიტართან. (5—უ.—3)

## აზთიბაძე

ს. სამლეტროში, ზუგდიდის მაზრაში, იძლევა იჯარით. პირობთა შესატყობად მიმართონ აფთიაქის პატრონს შემდეგის ადრესით: Черезъ Зугдидское уѣздное управление въ с. Самгебро, аптекарю Вольскому. (3—188—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუთიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა. დილაობით: ბ. ა. ხავასარდიანი, 11—12 საათ. საღატაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ბოდა აღმოსავლეთთან, ან უკედ რომ ვთქვათ, აზიის ძველ კულტურულ ქვეყნებთან მიმოსვლით და აღებ მიცემობით. ევროპის კაპიტალისტები იქ ეძიებდნენ, და პოულობდნენ კიდევ თავიანთის საქონლის გასასაღებლად დიდ და ძლიერ ბაზრებს. ეს იყო მიზეზი, რომ მე XVI საუკუნიდან დაწყებული ევროპის მდიდარი და ძლიერი სახელმწიფოანი, რომელთაც ძალიან განავითარეს კაპიტალიზმი, ასტებდნენ ხოლმე იმებს მარტო და მხოლოდ აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობისა და ექსპლოატაციის გულისათვის. მე-XVIII საუკუნეში ევროპის კაპიტალიზმი ისეთი ძლიერი შეიქნა, რომ ძველებურ წეს-წყობილების სფერაში ვერ დარჩებოდა არა თუ ევროპისავე რომელიმე სახელმწიფო, არამედ ვერც ოსმალეთი, ვერც პოლონეთი და რუსეთი და, ასე გასინჯეთ, ვერც საქართველო... იმ დროის ევროპის სიხალისე და მეზობლობამ ამ სახელმწიფოებს წინ წააოუყენა შემდეგი ალტერნატივა: ან უნდა მიუცილებლად დასდგომოდნენ განახლებულ და აღორძინებულ ევროპის, ესე იგი, აღებ-მიცემობის და მრეწველობის გზას, ან უნდა დაეთმოთ საპოლიტიკო ასპარეზი და დაღუპულიყვნენ. პოლონეთმა და საქართვე-

უ. მ ჩაქვანი, 9—10 საათ. სნეულეზანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ა. ბაბასაიანი. — დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ო. თ. შარატაქვანი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ბ. კარაბეგიანი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვების.

ა. გ. გურგია. 1 1/4—2 1/4 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის. საღამოობით:

გ. მ. მახვალაძე.—6—7 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შავკაცია—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6 1/2—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; დარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—შორიგებით.

დირექტორი სამკურნალო დაქტორი მედიცინის ნავასარდიანი. Первая частная лѣчебница Д-ра Навасардиана. Тифлисъ, противъ памяти. Воронцову. (7)

## ახალი ამბავი

\*. 1898 წ. დეკემბრის 17 დღეს ტფილისის სათავად-აზნაურო ბან-

ლომ<sup>2)</sup> ვერ გაუგეს აზრი ისტორიის და დაიღუპნენ; რუსეთმა კი ეკატერინე II ხელმწიფობის დროსვე აღნიშნა თვისი სახელმწიფო სიკაცხლისა და არსებობის უმთავრესი მუხლები და, სხვათა შორის, ერთი დიდი საგანი იყო აღმოსავლეთის უმახლობელესის ქვეყნის—ოსმალეთის ხელში ჩაგდება. რუსეთმა იგდო ხელში საქართველო, უდიდესი ნაწილი პოლონეთისა, დარჩა მხოლოდ ოსმალეთი... ეს საგანი, ესე იგი, ოსმალეთის დაპყრობის საქმე, უფრო დიდ მნიშვნელობას შეიქნა მას შემდეგ, რაც სუეცის არხი იქნა გაყვანილი (1869 წ.) და უდიდესი ნაწილი ვაჭრობა მრეწველობის ნაწარმოების სმელთა-შუა ზღვით აზიისაკენ გაემართა...

თითონ ოსმალეთში უმთავრესი წერტილი სტამბოლია, რომელსაც უჭირავს უპირველესი ადგილი, როგორც კომერციული, ისე სტრატეგიული მდებარეობის მხრივ. ის სახელმწიფო, რომელიც დაიჭერს სტამბოლს და ამასთანავე საკმაო სამხედრო ძალაც თუ მზად

კში ვაჭრობა მოხდა ქ. ტფილისის მაშულეების გასასყიდად, სავალდებულო გარდასახადის ვადაზე შემოუტანლობისა გამო. სულ გამოცხადებული იყო გაზეთებში 180 ტფილისის მაშული, ხოლო რადგან ვაჭრობის დაწყებამდე ხვედრი გარდასახადი შემოტანილ იქნა, ამის გამო ვაჭრობაში ჩავარდა მხოლოდ თერთმეტი მაშული, აქედან სავაჭროდ ჩავარდა შევადი მაშული, რომელთადაც იყო ბანკის ვალი 38,683 მანეთი და გაიყიდა-კი 61,612 მანეთად. დარჩა ოთხი მაშული გასასყიდად ხელ-შეორე ვაჭრობით, რომელიც მოხდება 4 იანვარს 1899 წ.

\*. 26 დეკემბერს ტფილისის „საარტიკო საზოგადოების“ სადგომში სცენის მოყვარეთა მიერ პოლონურს ენაზედ წარმოდგენა იქნება გამართული. ამ წარმოდგენის შემოსავალი გადადებული იქნება რომის-კათოლიკეთა ეკლესიისათან არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

\*. იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად გამოსადგება ელექტრონის შემწეობით ვაზის წამლობა ფილოქსერისაკენ, მუშაობა უკვე დაასრულა და წარუდგინა თავისი მოხსენება კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს. ამ მოხსენებას კომიტეტი ახლო მომავალში განიხილავს.

\*. 15 დეკემბერს „ტფილ. კრუ-ეოკის“ წევრთ წლიური კრება ჰქო-

ექნება, ადვილად გახდება სრული ბატონი ხმელთა შუა ზღვის აღმოსავლეთის ნაპირებისა და ამ ნაირად ხელში ჩაიგდებს ზღვებზედ მდებარე გზას, რომელიც მიემართება ინდოეთისა და აზიის აღმოსავლეთისაკენ. სტამბოლი—ეს ზღვათა კლიტული უხსნის გზებს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს არა თუ აზიისაკენ, არამედ ევროპისაკენაც...

ამიტომაც, ევროპის დიდი სახელმწიფოანიც გაფაციცებით ადევნებენ თვალ ყურს სტამბოლს, რომლის ხელში ჩაგდება სანატრელ საგნად გამხდარა ყველასათვის. მაგრამ სტამბოლის დაპყრობა პნიშნავს უშველვებელ საქვეყნო ომის გამოწვევას და ამ ომის თავ-ზარ-დამცემი შიში აქვს ყველას დღეს. ყველა სახელმწიფოს ელჩები მთელის ამ ჩვენის საუკუნის განმავლობაში მუდამ მალ-მალე იკრიბებიან ხოლმე სტამბოლში აღმოსავლეთის საქმის შესახებ, მაგრამ იმათ კრებებსა და ბქო-ას ჯერ აქამომდე არაფერი გაუკეთებია. ამ საუკუნის 20-იან წლებიდან მოყოლებული ევროპის დიპლომატია სულ იმის ცდაში იყო, რომ ოსმალეთში დამეკვიდრებინა ახალი ცხოვრება, ცვლილებათა პროექტს პროექტზედ არდგენდა, რომ ოსმალეთი გაეევროპიერებულყო. ყველაზედ უფრო ამ

1) იხ. „Борьба будущаго между рыбой и желтой расами“, Э. Мещера.

2) საქართველოს პოლიტიკურად დაღუპვის მიზეზები ვრცლად გვაქვს გარკვეული იმ წერილში, რომელშიც განხილულია ნ. ბარათაშვილის პოემა: „ბედი ქართლისა“.

ნდათ. მომავლის 1899 წლის ხარჯთაღრიცხვიდანა სჩანს, რომ „კრუჟოკს“ სათადარიგო თანხად აქვს 30,453 მან.; შემოსავალი გამოანგარიშებულია — 55,374 მ., გასავალი — 50,885 მ. მამასახლისებელ არჩეულ იქნენ: შერბოვიჩი-ვეჩორი, თ. ა. შიშინოვი, ლ. ლ. მარკოვი, ნ. გ. მაკიევი-ზუბოვი, ი. თ. დობო გლავი, ე. ე. ბურგარტი, ჰ. ჰ. კულბერგი, პ. ი. ობლომსკი, ა. ა. პრისელკოვი, კ. პ. ჩიკალინი და გუდმი-ლევკოვიჩი.

\* კვირას, 20 დეკემბერს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში გამართული იქნება წლიური აქტი, რომლის შემდეგაც საუკეთესო მოსწავლეებს დაურიგებენ საჩუქრებს.

\* შაბათს, 19 დეკემბერს, კავკასიის მთავარ-მართებლის სამკოს, ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსის თავმჯდომარის სენატორის ს. ბ. ვრასკის თავმჯდომარეობით, სხდომა ექნება. ამ სხდომაზე, სხვათა შორის, ლაპარაკი იქნება ნავთლუხის თავ-შესაფართან არსებულ მიგდებულ ბავშვთა განყოფილების გაფართოების შესახებაც.

\* მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ტფილისის პოლიციის ბოქალეებს, — წარმომადგენელთა სიები ოსმალეთიდან იმ გამოხვეწილ სომეხთა, რომელიც ტფილისში სცხოვრობენ და რომელიც უკანვე, თავი ანთ სამშობლოში უნდა იქნენ დაბრუნებული. ამის შესახებ „კავკასიის“ სწორს: ბოქალეებმა უკვე წარუდგინეს სიები პოლიციის ბოქალეებს, მაგრამ რა სიები ეს სიები? როგორც თვით ბოქალეებმა აღიარეს, გადმოხვეწილ სომეხთა სიების შედგენა ამ უმად შეუძლებელია, რადგანაც მათ ერთი მიჩნეული ბინა არა აქვთ: ზოგი ადგილობრივ მცხოვრებთან ბინადრობს, ზოგი დილით ბაზარში გადის, დღიურათ მუშაობს და ღამეს სხვა-და-სხვა ტრაქტორებსა, ფურნებსა და ღუმელებში

ათევს, ზოგი დარაჯებდა უდგანან სხვა-და-სხვა ვაჭრებს, მაგრამ პოლიციას კი არ ატყობინებენ ამას, ზოგისაც კლდე კაცი ვერაფერს გაიგებს: ღღეს აქ არიან, ხვალ სხვანად სადმე, ღღეს ტფილისში არიან, ხვალ სხვა ქალაქში მიდიანო და სხვა.

\* ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ დაადგინა: ბრალდებულნი აზნ. დავით, ვასილ დანიკოლოზ ნე-მსაძენი და მიხეილ თევზაროვი და გლეხნი დიმი სუტიაშვილი, ნიკოლოზ ლომიძე და ილია კაქაძევი განთავისუფლებულ იქნან დაპატიმრებისაგან იმ პირობით-კი, თუ თავმჯდომარის წარმომადგენენ.

\* მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ იმ საქონელს, რომელთაც ატენის ხეობაში ქირი აუტრეს, მცხოვრებლებსა და მონასტრებს დაურიგებენ. ატრილ საქონელთა რიცხვიდან, ვაზ. „კავკასიის“ სიტყვით, 120 ცალი დაურიგდებთ გადმოსახლებულ რუსებს, 90 ცალი — მართლმადიდებელთა მონასტრებს და დანარჩენი — იმ გლეხებს, რომელნიც დაზარაბულ იქნენ ქირისაგან.

\* როგორც საფილოქსერო კომიტეტის ანგარიშიდანა სჩანს, 1897 წელს ამ კომიტეტის აგენტებს გაუწინჯავთ სხვა-და-სხვა ადგილას 19,622 დღეებში ვენახი. უფრო დაწვრილებით გაუწინჯავთ გორისა და რაჭის მაზრების ვენახები. ფილოქსერა 4,000 ვაზზედ აღმოუჩინეთ. საანგარიშო წელს კომიტეტს გაუშარავს ამერიკული ვაზის ორი სახეობა: ერთი სენაკის მაზრის სოფ. ქორეისუბანში და მეორე გორის მაზრის სოფ. აგაიანის მახლობლად. მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამერიკული ვაზის მოვლა-მოშენების შესასწავლად საქარის სანერგესთან დაარსებულ იქნა განსაკუთრებული კურსები. საანგარიშო წელს ამ კურსებზედ 400 კაცი სწავლობდა

თურმე. გარდა ამისა საფილოქსერო კომიტეტს საანგარიშო წელს გამოუცია რამდენიმე წიგნი მევენახობისა და მეღვინეობის შესახებ.

\* როგორც „ახ. მიმ.“ იუწყება, სოხუმის ეპისკოპოსს ყოვლად სამღვდლო არსენის შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ სახაზინო ან ქალაქის მიწებიდან დაეთმოს სოხუმის ეპარქიის სამრევლო-საეკლესიო სკოლებს მიწები, თითოს ხუთ-ხუთი დესეტინა.

\* ს. ქვემო გომი, (გორის მაზრა). წელს ქირანხული საშუალოზედ მეტი მოვიდა აქ. ამის მიზეზდავად კოდი პური (4 ფუთი) ჰფასობს 4—5 მან. და სიმინდი — 2 მან. 2—40 კაპ. ღვინო თითქმის სრულდებით არ ყოფილა.

გომს ერთობ ცოტა ადგილ-მამული აქვს. იქნებ ეს იყეს მიზეზი, რომ ამ სოფელში ხალხისა და საქონლის მიწური სადგომები ისეა ერთი მეორეზედ მიჩნეული-მარჯული, რომ უცხო კაცი აქ ვაზს ვერ გაიგებს. ამ უკანასკნელ გარემოებისა გამო დიდი უსუფთაობაა სოფელში. თითქმის ყველა სახლის წინა-უკანა კარებთან არის აზვინული საქონლის პატივი, რომელიც სოფელს სწამლავს. სახანავ-სათეს ადგილის სივრცისა გამო ბევრი აქაური გლეხი სოფელ გარედ მიდის საზღვრის მოსაპოვებლად. მომეტებულ ნაწილად რკინის გზაზედ მიდიან სამუშაოდ და აგრეთვე მეტავეობასაც ჰკიდებენ ხელს.

გომს აქვს ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა, მაგრამ იგი ისეთს უხერხულს და პატარა შენობაშია მოთავსებული, რომ მსურველთა სახანგროდაც ვერ აკმაყოფილებს. წელს, მაგალითად, ბევრი ბავშვი გაბრუნდა უკან, რასაც მათი მშობლები სამღვრავი მოჰყვა თან. — ამ სოფელს ორი ეკლესია აქვს. ერთი მთავანი მიწურია, რომელიც ამასთან ერთად თავისის მოწყობილობი-

თაც მეორე — მესამე საუკუნის ქრისტიანეთა ეკლესიის მოგავონებთ.

\* როგორც „Черн. В.“ იუწყება, 12, 13 და 14 დეკემბერს ბათუმსა და იმის გარშემო დიდი თოვლი მოსულა. ქუეშეში თოვლი გარუბაა თოვლისა თურმე. თოვლს ტელეფონის მათულებიც-ც დაუწყებია და ბოქაბა წაუქრეკა. საზოგადოდ დიდი თოვლი მთელს ქუთაისის გუბერნიაში მოსულა. ბუკრჯან გზებზე შეკრულია თურმე.

\* ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა საბჭოს მიერ დადგენილი ნიხრა ძირის სოფელზედ — 7 კაპ., კამბეჩისა — 5 კაპ., ღვინოს უტევათ — 8 კაპ. და ტევათ — 7 კაპ. ამასთან უასება გადებულა აჩიან კამბეჩის სოფელს სოფელთან არ ჰურიათ, არამედ ცალკე ჩამოჭრილ და შეკედგან დაწერონ „კამბეჩის სოფელი“.

\* ვაზ. „ახ. მიმ.“ სწორენ ქუთაისის მაზრის სოფ. ბაღდადიდან, რომ 10 დეკემბერს, ადგილობრივის მასწავლებლის გ. ბურჯანასის მეტადინეობით გამართულ ექნა სკოლის დაზარალება სადამტკიცებო სამსახურის ს. დაძო. სადამტკიცებო და მათ დედ-მამათ გადდა, ადგილობრივი მასწავლებელ დაქსნენ.

\* პოლიციისგან თავ ნაკაშიძემ გამოუტყდა პოლიციას, რომ 14 დეკემბერს 18 წლის ქალი, გვარად სადგერიძე, რომელიც ჩემთან მოსამსახურედ იყო, სადღაც წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ქალი ეძებეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერსად იპოვნეს.

\* 16 დეკემბერს პოლიციელმა მე-9 ნაწილში შეიპყრო სპარსეთის ქვეშევრდომი ალი-ყრბალაი-მამედ-ოღლი, რომელიც ციციანოვის სახლში ელენე მდივანის სადგომში აპირებდა თურმე შესვლას და ნივთების მოპარვას. ქურდს ფანჯარის შუშა გამოეჭრა კიდეც, მაგრამ ამ დროს პოლიციელს შეეპყრო.

\* ს. ხელთ უბანი. აქაურ მიკიტანს, მ. ვალიშვილს, ერთს ქვრივ დედაკაცის სახლში ათიოდე კოკა, (200 თუნგი) ღვინო ედგა ერთს ქვევრში. ამ ხუთი-ექვსის ღვინოს წინაღ მუშტარი მიიყვანა, უნდა მიიყიდნა. მოხდა ქვევრი და ნახა, რომ ვილასაც ნე-

მხრივ ინგლისი სცილობდა ოსმალეთის სამრეწველო გზაზე გამოყვანასა და განახლებას. მაგრამ ესეთი განზრახვა სიცოცხლით სავსე და მხნე ინგლისელებისა მინც ვერაფერს გახდა და ოსმალეთი ისევ ძველებურად „ავადმყოფი“, თითქმის მოაკვდავ კაცად რჩებოდა. ყირიმის ომის დროს და ბერლინის კონგრესზედ რუსეთის მოწინააღმდეგე ევროპამაც ვერაფერი უშველა ოსმალეთს და იგი ისევ ძველ აზურს უგზობობს ადგა ყოველთვის და ყველაფერში. ახლა ხანს შედგა „ევროპის სახელმწიფოთა კონცერტი“, რომელსაც მსურს ოსმალეთი დაინსანს დაღუპვისაგან და კაცობრიობას ააშოროს თავიდან მოსალოდნელი დიდი ომი. ეხლა ყველას მშვიდობიანობა აკერია ენახედ, დიდნი სახელმწიფონი ერთი მეორეს ვ-თომც სამეგობროდაც ხელს უშვერენ...

მაგრამ საქმის ვითარება ნამდვილად ასე როდია. დიდნი სახელმწიფონი შეკავშირდნენ, იმიტომ კი არა, რომ მშვიდობიანობა დაიკვიან და დამყარონ ქვეყანაზედ, არამედ იმიტომ, რომ ერთი მეორეს არ ენდობა და უნდა ერთი მეორის მოქმედებას თვალ-ყური ადევნონ. თითოეულ სახელმწიფოს ინტერესი

თხოულობს, რომ აღმოსავლეთის საქმე არ გაამწვავოს და ამ მხრივ მათ შორის, თუ გნებავთ, მართლაც, ერთსულობა არსებობს. მაგრამ როდესაც საქმე შეეხება სხვა-და-სხვა საპოლიტიკო საგანს, ოსმალეთში ცვლილებათა შემოდებას, სომხების საქმის გარდაწყვეტას, მაკედონელების დაკმაყოფილებას და სხვა მრავალ საქმეს, რომელსაც შეუძლიან ასე თუ ისე შესცვალოს Status quo, მაშინვე სახელმწიფოებს შორის ასტყდება ხოლმე საშინელი შური, ერთმანეთის დაუნდობლობა, მტრობა, რომელიც სულერთიანად ძირს უთხრის საერთო, საზოგადო საქმეს და ხვანტქრის უფლებას ამით უფრო და უფრო აძლიერეს. ამგვარად ძლიერმა „ევროპის სახელმწიფოთა კონცერტმა“ დაუსტებული ოსმალეთი ამ ბოლო ხანებში ერთი ორად გააძლიერა იმითი, რომ გააქვტინა 100,000 მეტი სომხობა და საბერძნეთიც დაამარცხებინა...

აი, ამ უკანასკნელ დროს გაისმა ძლიერი ხმა დიდის რუსეთის იმპერატორისა იარალის აყრისა და მშვიდობიანობის ქვეყანაზედ დასამყარებლად. ეს საქმე უნდა განიხილოს და დააკვირვინოს მიწვეულმა კონფერენციამ. ეს გარემოებაც ამტი-

ცებს, რომ ღველფში შეხვეული ნაკვერჩხლები ყველგან ბევრია და, ვიდრე დაიწყებოდეს სანატრელი დრო იარალის აყრისა და ქვეყნად მშვიდობიანობის დამყარებისა, უეცრად სადმე შესაძლებელია იფეთქოს ისეთმა ცეცხლმა, რომლის ჩა აქრობდა კაცმა არ იცის რა ძალა შეიქნება საქირა. ოსმალეთში, ან სადმე ევროპის ხმელეთზედ რომ კიდევ შესაძლებელი შეიქნეს დიდხანს ამ ნაკვერჩხლების ღველფში შენახვა, იქ, შორეულს აღმოსავლეთში, მინც მოსალოდნელია ერთი დიდი უშველებელი ამბავი, რომელსაც, ვინ იცის, მალე დიდი ღვინის რისხვა და ომის საშინელება მოჰყვეს...

ამას წინაღ ჩინეთიდან მოვიდა ამბავი, რომ „ცის სამეფოს“ ახალგაზდა ხელმწიფე გადააყენეს და მის მაგიერ შედგა „ძველი ჩინეთის“ ახალდასის მომხრეთაგან მთავრობა, რომელიც ეწინააღმდეგება ჩინეთის სახელმწიფოს დაწინაურებას და ევროპის ვაჭრობა-მრეწველობის გზაზედ დადგამს. იაპონიის ისტორია და იმისი მაგალითი ყველას თვალწინ გვიდგას. ჩინეთ იაპონიის ომის შემდეგ, რომელიც მოხდა 1894 და 95 წლებში ევროპამ და რუსეთმაც ერთბაშად, თითქმის სრულიად მოულოდ-

ნელად, დაინახა, რომ შორეულს აღმოსავლეთში ძველ მონგოლების რასის ახალმა ნაშთმა შეჰქმნა მეტად ძლიერი და საშიშარი ახალი სახელმწიფო, რომელმაც, მართლაც, „გაასაოკარის სისწრაფით“ შეითვისა ევროპის პროვინცია. ევროპის ხმელეთის გუმინდელი მოსწავლენი, ე. ი. იაპონელები ბევრში გაუთანასწორდნენ და ზოგიერთს შემთხვევაში ხომ წინაც წაუსწრეს ევროპის ზოგიერთს მყვარალა და „დიდ“ სახელმწიფოებსაც. 1871 წელს იაპონიამ ძირს დაამხობა დესპოტიზმი და ფეოდალური წეს-წყობილება და ის წინადაყოფილი დრო რომ ახლანდელ დროს შეეუდაროთ, მათ შორის მთელი უშველებელი უფსკრულია გათხრილი. სწორედ გასაშტერებელიც ის არის, რომ ეს მონგოლები საქმეთა ახალს მდგომარეობასა და ვითარებას ჩინებულად შეეგუვნენ და მშვენიერადაც შეიგნეს თვისი უფლებანი და ინტერესები... იაპონიამ განავითარა ვაჭრობა და მრეწველობა, თვისი სამშობლო ქვეყნის არე მარენი რკინის გზებით მოჰყვინა, შეჰქმნა ახალი სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებანი, დააარსა პარლამენტარული წეს-რიგი და განავითარა ევროპულ-გაზეთობა, მცირე ხნის გან-

თი ჩახსნა შიგ. საწყალმა ცეცხლმა შეიპყრო იტალია და ივანობა, ქვეყნის წინაშე აღიდა. გუმანი აქაურ გლეხებზედ აქვს კანი ხანია, გადაკიდებულები არიან ერთმანერთზედ და სხვა-და-სხვა რამე, მინც ერთმანეთს აბრალდებენ.

\* სოფ. თორტიხა, (გორის მაზრა). აქაურ გლეხს შერბოვიშვილს წრეულს მხოლოდ ხუთიოდე კოკა ღვინო მოუვიდა. ამ ღვინოთ ვენახშივე გაავსო ქვევრი, რომელსაც მთელი თავისი ვენახის სარი ზედ დაახორავა. ამ ერთის კვირის წინად ვილაც ქურდი მოსულა, ის სარები გადაუყრია და რაც ღვინო იყო, სულ ამოუღია და წაუსულა. აქეთვე მინც უზომოდ იმატა ქურდობამ ამ ბოლო ხანებში.

**წერილი თელავიდან**

თელავის გაკურდღელაურება და კურდღელაურის გათელაურება. — ბნი თათუზოვი და მოქალაქეთა გასოფლელთა.

თელავი, როგორც მოგვხსენებთ, გაშენებულია ცივ-გომბორის მთა-გრებილის კალთაზედ, რომელიც გადაშლილა ჩრდილოეთისაკენ და ქვეშ სვეტებივით ოთხი გორაკი შესდგომია. ამ გორაკებს ცივ-გომბორის კალთა გაშლილი შეუკავებია და ამიტომ თელავის მდებარეობა წარმოადგენს ამიღლებულ ვაკეს. ეს ოთხი გორა ასეა ჩამწყვრივებული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: ვახვახიანთ გორა, სასახლის გორა, ყორჩიბაშიანთ გორა და ძველ-გალავნის გორა. ოთხივე გორა ძველის-ძველად გამაგრებული ყოფილა ციხე-კაშუკებითა და უკანასკნელ დრომდის ეს სიმაგრეები უახლებიათ. უფრო-კი დაურღვევლად დარჩენილა სამი: ვახვახიანთი, სასახლისა და ყორჩიბაშიანთი; უკანასკნელ ციხე-გალავანს სასახლისა და ძველ-გალავნის შუა ადგილი უჭირავს. ამ ციხე-გალავანში არის ის ღვთაების ტაძარი, რომელშიაც 40 დღე ესვენა ერეკლე მეფე. ამ ტაძრის მრევლს ეკუთვნის თითქმის ნახევარი თელავის ქართველობა. სასახლის ციხე-გალავანში არის „კარის ღვთისმშობლის“ ტაძარი და მის მრევლს შეადგენენ, სხვათა შორის, ვახვახიანთ

მავლობაში ქვეყანა მოჰყვანა სახალხო სკოლებით, უნივერსიტეტებით და ახლა სცილობს კიდევ დაარსოს „იაპონიის უნივერსიტეტი ქალთათვის“... ჩვენ აქ იაპონიის ახალს ისტორიას არა ვწერთ. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ გავკრით მოგვეხსენებინა მკითხველისათვის იაპონიის მიერ უშველებელის ნაბიჯის გადადგმა წარმატებისაკენ. რა თქმა უნდა, ასეთი შესანიშნავი მაგალითის მნახველი ჩინეთი, ადვილად შესაძლებელია, იაპონიის მაგალითს მიჰყვეს და იმანაც დასავლეთის ცივილიზაცია შეითვისოს... ამიტომაც მოხდა სწორედ ის ამბავი, რომ იაპონიის მიერ ბრძოლის ველზედ საშინლად დამარცხებულმა ჩინეთმაც პირი სახეზე ხელები მიისვამოს, თვალები გაახილა და დაინახა, რომ იმის ძღვევა მოსილობას და ბუმბერაზობას მხოლოდ ზღაპრული ხასიათი აქვს, მაშასადამე, უნდა დაგა და თანამედროვე ცივილიზაციის რამდენიმე მოთხოვნილებას მოეღაუქა... აი, ამ დროს სამი ძლიერი სახელმწიფო, ინგლისი, რუსეთი და იაპონია იპასა სცილობდნენ, რომ ჩინეთი თავის მზრუნველობისა და მფარველობის ქვეშ ჰყოლოდათ...

გორსა და მისს კალთებზედ მცხოვრებელნი: როგორც სახელები და მაცხოვრებელი, აღმოსავლეთის განაპირი გორა თვისი ციხე გალავნით ეკუთვნის თავს. ვახუშტის მიხედვით: აქედამ მესამე გორა თვისი ციხე-გალავნით ეკუთვნის თავს. ყორჩიბაშ რუსიშვილებს.

რასაკვირველია, ზოგი ნაწილი ამ სათავადო მამულისა, დროს განმავლობაში გაიყარა და დასახლდა მოქალაქეებითა. ჯერ ისევ მათის უმალღესობის, დიდის მთავრის მიხედვით ნიკოლოზის ძის კავკასიის „ნამესტნიკად“ ყოფნის დროს, შემდგარა გეგმა თელავისა და ამ გეგმაში მოყოლილია ყველა ის სათავადო ადგილი, რომლებიც დასახლებულა მოქალაქეებით. ეს გეგმა დაუმტკიცებია „ნამესტნიკს“. ამის შემდეგ დაწყებულა გამიჯვნა მამულებისა და ერთის მხრივ თავად ვახუშტის შვილებისა და ყორჩიბაშ რუსიშვილების და მეორე მხრივ თელავის მოქალაქეთა შორის დაეა ბტებია: თელაველები საქალაქად დაობდნენ ადგილ-მამულს, თავადნი საკუთრებად. რადგანაც ამ გორების გასადგვარი ადგილი დასახლებული იყო თვით ამავე თავადების ნაყმეებითა და რადგანაც ეს იწოდებოდა კურდღელურად, დავის გასაჩვენად, ის სათავადო ადგილები, რომლებიც თელავშია თავისის ციხე-გალავნით, მოუნათლავთ კურდღელურის აგარაკად ე. ი. მთელი სათავადო ადგილ-მამულისათვის, რომელიც ციხე-გომბორის წვეროსიდან იწყება, გადის თელავზედ, ეფინება ძირს და დაწყდება ალაზნთან, უწოდებით კურდღელურის აგარაკი. ამ ადგილ-მამულიდან მოქალაქენი ზოგან ტყე-სა დაობდნენ, ზოგან საძოვარსა და ზოგან სასახლესა. რაც უდავოდ ქალაქს აკუთნებს თავადებმა, მას თელავის აგარაკი ეწოდა. გამოვიდა, რომ ორი გორა, მათი ზემო და ქვემო კალთები, სახელდობრ ძველ-გალავნის გორა და სასახლის გორა თელავის აგარაკად დასახლდა და ვახუ-

შიანთ და ყორჩიბაშ-რუსიშვილების გორების ზემო-ქვემო კალთები კურდღელურის აგარაკად იქნა აღნიშნული. რიგ-წყობილობას თუ მივიღებთ სახეში აღმოსავლეთიდან მიყოლებით: პირველი და მესამე გორა კურდღელურის აგარაკია, ხოლო მეორე და მეოთხე—თელავისა.

გავიდა დრო. ქალაქის სახლებს სახელმწიფო გარდასახადი დაედა, სახლის პატრონების წოდებრივ ღირსებისა მიუხედავად. პირველსა და სესამე გორაზედ გამოქმულ თავადთა სახლებსაც გარდასახადი დაედოთ. ზოგს შტკონდა, ზოგს არა. ბევრზედ შეიქცა ძველი და ახალი გარდასახადი, მაგრამ მთავრობა მიიწვევდა თხოულობდა. „გაქირვება მიჩვენე და მე გზას გჩვენებო“, სწორედ ამ გაქირვებამ უჩვენა გზა გაქირვებულებს და დაადგინა იმ მოსახრებებს, რომ ჩვენ ქალაქში არა ვსცხოვრობთ, ჩვენ სოფელში ვსცხოვრობთ და ამიტომ ჩვენი სასახლეები კურდღელურის აგარაკს ეკუთვნიან და არა ქალაქ თელავისასაო. იარა საჩივარმა სენატში დის. სენატმა სოფლად იცნო, რასაც კურდღელურის აგარაკი ეწოდებოდა, და იქ მდებარე სახლები განათავის უფლო გარდასახადისაგან.

საგუბერნიო გამგეობამ გამოგზავნა მიწის მზომელი და, სენატის გადაწყვეტილებისა თანახმად, შემოავლო ხაზი ქ. თელავს. ამ ხაზს გარე დარჩა ათასამდე მცხოვრებელი, რომელთაგან მცირე რიცხვი თავად-აზნაურთა და სხვანი თელავის მოქალაქეთა რიცხვში მყოფნი მამა-პაპით; ამასთან ხაზ-გარეთ დარჩენილთა 90% ქართველია.

ამ მდგომარეობაში არა ეშველებოდა რა საქმეს იმის მეტი, რომ ამ ხაზ გარეთ მყოფთ ეთხოვნათ, რომ ეს ადგილები ახლად საქალაქად ჩაერიცხა. ორი სხვა და სხვა სურვილი დაიბადა: თავად-აზნაურთ და სხვა ხარჯისაგან თავისუფალთ არ უნდათ საქალაქად ჩარიცხვა, რადგანაც ამას მოსდევს ხარჯის გარდახდევინებ-

ფრთხილი სახელმწიფო კაცია, ასე რომ მას მეტს სახელს უწოდებენ „ჩინეთის ბისმარკს“. მან შემოიარა მთელი ევროპის დიდი სახელმწიფოები და ყოველგან სხვის რჩევას და აზრს დიდის გულის ყურითა და დაბეჯითებით ისმენდა. ყველას ყველა წინადადებაზედ სრულს თანხმობას უცხადებდა. თითოეული სახელმწიფო, იმის ჩინეთში გაბრუნების შემდეგ, დარწმუნებული იყო, რომ ჩინეთთან კარგი და სასარგებლო განწყობილება გვაქვსო და ამ მხრით ჩვენ საზრუნავი აღარაფერი დაგვრჩენიაო.

ასე ჰფიქრობდნენ, უეჭველია, ინგლისშიაც. იქ ყველა დარწმუნებული იყო, რომ ლი ხუნგ-ჩანგი წარმატების მომხრეთა მოთავეა ჩინეთში და, რაღა თქმა უნდა, გულწრფელი და ენერჯიული მოკავშირე და მომხრეა დიდის ბრიტანიისაო. მაგრამ ინგლისელები აქ კი მწარედ მოტყუვდნენ. იმ დროს, როდესაც კაო-ჩანგის ნავთსადგური ნემენცებმა დაიჭირეს, ჩინეთში ბევრი საგულისხმო ამბავი მოხდა და სწორედ ამ არეულ დარეულობის დროს ევროპის სხვა სახელმწიფოებმაც ჩინეთისგან მოითხოვეს თავიანთი შესაფერი ლუკმა. ამ ხანებში ევროპის ქურნალ-გაზეთო-

ბა; მიხარჯენი, რომელთაც სოფელი დააწვეთ თვისის მძიმე უღლით, დიდად მოწადინებულნი არიან საქალაქად ჩარიცხვას.

ამ დროს სოფელ კურდღელურის დაუნიშნეს ესრედ წოდებული „მთავრობის მამასახლისი“, რომლის შენახვა ჩაფრებიანად კარგად იდის ხარჯს თხოულობს. დღეს ამ ხარჯს ახდევინებენ იმათაც, ვინც მოხარჯეთაგანი თელავის ახალ ხაზს გარედ დარჩნენ. მაშასადამე, ესენი კურდღელურელებს უმსუბუქებენ იმ ძნელს უღელის ტარებას, რომელსაც „მთავრობის მამასახლისი და მისი ჩაფრები“ ეწოდება.

(დასასრული იქნება)

# რუსეთი

მომავალს წელს დაარსებული იქმნება საქარხნო საქმეთა მთავარი საკრებულო, რომელმაც უნდა განავოს ქარხნებისა და ფაბრიკების ყველა საქმეები. მთავარ საკრებულოს გარდა პროვინციებში დაარსებულ იქმნება ექვსი საოლქო გამგეობა და 80 ახალი თანამდებობა საქარხნო ინსპექტორისა.

— მოსკოვის ვახუშების სიტყვით, ამ ახლო მომავალში დაიბეჭდება მეტად საინტერესო კრებული „ჩხ-ჩი“ (საქმე). შემოსავალი ამ კრებულიდან გადადებული იქმნება დედათა სამკურნალო ინსტიტუტის სასარგებლოდ. კრებულში მოთავსებული იქმნება რუსეთის აწინდელის საუკეთესო მწერლების, პოეტების და მეცნიერების ნაწარმოებნი.

— ამ ჟამად რუსეთის რკინის გზათა გამგეობათ მოლაპარაკება აქვთ უცხო სახელმწიფოთა რკინის გზების გამგეობებთან იმის შესახებ, რომ 1900 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზედ წამსვლელთ ნაკლები გარდასახადი გამოერვათ. ახრად აქვთ ჩვეულებრივ გარდასახადს 30% დაუ-

ბას ჩინეთი ეკრა ენასა და კალმის წვერზედ: ისინი, ასე გასინჯეთ, ხმა მალღა გაიძახიდნენ „ჩინეთის განაწილებას“ დიდ სახელმწიფოთა შორის. მაგრამ ვიდრე ევროპის დიპლომატებს და ქურნალისტებს ასეთი ტებილი მუსიავი ჰქონდათ გამართული, ლი ხუნგ-ჩანგმა ყველას ჩალა გამოავლო პირში ჩინეთის მფარველ მეგვიდრეთ დიდი რუსეთის სახელმწიფო აიჩინა...

ესლა რუსეთის გავლენა და ზედმოქმედება, ინგლისის ნაცვლად, ძალიან ძლიერდებოდა. მაგრამ მოულოდნელად მოხდა ცვლილება სასახლეში და თავ მომწონე „ჩინეთის ბისმარკი“ ძირს დაემხო... აქ კი, მართლაც, აირია მონასტერი და... ევროპის ქურნალ-გაზეთებში კვლავ გაისმა ათასი ერთი-მეორის წინააღმდეგი ხმა და ამბავი ჩინეთის ცხოვრების შესახებ.

რაც უნდა მომხდარიყო, ის-კი ცხადი იყო, რომ ლიხუნგ-ჩანგის გაძევების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესები ძლიერდებოდა და ვითარდებოდა. ხმა გავარდა, რომ პეკინში მიდის იაპონიის შესანიშნვი დიპლომატი იტო, რომ დაიყაბულოს ჩინეთის მთავრობა ცვლილებათა მოსახდენად

კლონ. გარდა ამისა პარიჟში წამსვლელთა და წამომსვლელთათვის განსაკუთრებული მატარებლები იქმნება დანიშნული.

— საერო განათლების სამინისტრომ გადასდო 13<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ათასი მანეთი პრემიად დასანიშნავად იმათთვის, ვინც ხალხისათვის საუკეთესო საკითხავს წიგნს შეადგენს.

— რუსეთის ზოგიერთა გუბერნიებში უკვე ლაპარაკი აღძრეს იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ყველა სოფელსა და ქალაქში სასწავლებლები და სწავლა ყველა მცირე წლოვანისათვის სავალდებულო გახადონ. სხვათა შორის ამას მოწადინებულია ჩერნიგოვის საგუბერნიო ერობაც. ამ ერობის განსაკუთრებულმა კომისიამ გამოიხარება, რომ საყოველთაო სწავლების შემოსაღესად ჩერნიგოვის გუბერნიის საქარხნო დაარსებულ იქმნას 1,500 სკოლა. ამ სკოლების გამართვას დასკირდება პირველ ხანს ექვსი მილიონი მანეთი, ხოლო ყოველ წლივ იმათი შენახვა 1,200,000 მანეთი დაჯდება.

— სასულიერო უწყებამ განმარტა, რომ მღვდლებმა იმ საქმეების გამო, რომელნიც მათდა რწმუნებულ სასწავლებელთ შეეხება, უნდა მიჰმართონ უეჭველად საეპარქიო საბჭოს ადგილობრივ განყოფილებას და არა საგუბერნიო გამგეობას და გუბერნატორსაო.

# უცხოეთი

საზარანგითი. როგორც მოსალოდნელი იყო, დრეიფუსის ცოლმა და გეპქელმა ითხოვეს, საიდუმლო დოსიეს განხილვის ნება-რთვა. მაგრამ რადგან საკასაციო სასამართლოს ეს ქაღალდები იმ პირობით გადასცა უმალეს. მას შემდეგ მოთარობამ, რომ მისს შინაგანს სხვას ნუ გააკვებნებოთ, ამატომ დრეიფუსის გეპქელს თავისისა და დრეიფუსის ცოლის მკაცრ საკასაციო სასამართლომ ხელწერილი მოსთხოვა

იაპონიის დახმარებითაო. მაშინვე დაიწყეს სჯა და ბაასი ევროპაში, რომ იაპონიასა და ჩინეთს შორის არსდება კავშირი და ამ ქვეყანაში ახალი ცვლილებანი უნდა იქმნას შემოღებული ხელმწიფესთან დაახლოვებული დიპლომატის კან-იუმის მეთაურობით. რასაკვირველია, იმ დროს, როდესაც ასეთი შესანიშნავი ამბები ხდებოდა ჩინეთში, მოწინააღმდეგე დასსაც, ე. ი. ჩინეთის ძველის ცხოვრების მოტრფილეთ, არ ეძინა. სწორედ ამ დროს ხუნანში დიდი არეულობა მოხდა და ხმა გავრცელდა, რომ დინასტიის ძლიერი მოწინააღმდეგე მოძრაობა ატყდა ჩრდილო-ქვეყნებისაკენ და ახალგაზდა იმპერატორს დიდი უბედურება მოეღოსო. იმპერატორი ჩინეთისა სუსტის ხასიათის ახალგაზდა კაცია და... ძლიერ შეშინდა. იმპერატორს მოახსენეს, რომ ხალხი დიდად ეწინააღმდეგება რეფორმების შემოღებას და მისი დაახლოვება ინგლისთან ჩინეთს საუკუნოდ დაჰლუპავსო. შეშინებულმა იმპერატორმა, რომელიც თავისის დიდის ძლიერ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და რომელსაც გარშემო სულ ცვლილებათა შემოღების მოწინააღმდეგენი ეხვევენ, გამოსცა ბრძანება დედოფლის

იმის შესახებ, რომ დოსიეს განხილვის შინაგანს საიდუმლოდ დარჩეს. ბ-ს მოწინააღმდეგეებს კეპქელს, ასეთი ხელწერილი დაუდგია და სამსჯედრო მინისტრის დასთანხმებისა.

— როგორც მტკიცდება, ჯანუში დეკრეტი, რომელიც ამ დღეებში დახატომბებულ იქნა, მართლაც მისაწერება და თურმე მთავარ შტაბის მეორე საიდუმლო ბიუროში ახრისთან. დეკრეტის სახეზე საიდუმლოებით მოცული არის, ამბობენ, დახატომბებულა აკრეთ, გეპქელს „მკვლე ზოლანული“ კოსთრომისად მკვდრო კავშირის ქმნა და დეკრეტისათვის მთავარ შტაბის საიდუმლო ქაღალდებს დეკრეტის ბეჭდვის სახელგაბეჭდვან ჰქონდა თურმე გერმანიაში.

— საფრანგეთის ახლანდელს ლონდონში, ბ-ს კომბანს, საფრანგეთის ახალგაზრდები მიუღია, რომელთათვისაც უთქვამს, რომ საფრანგეთის და ინგლისის ინტერესები ისე არ ეწინააღმდეგებან ერთმანეთს, მათი მორიგება რომ არ შეიძლება დასა. ეს ორი დიდი სახელმწიფო მუდამ იმას უნდა ცდილობდეს, თავიანთი მოქმედება რიკილიანობისა და ხელისა წინსვლად მოახდინოს. სადაც უნდა მასხინდეს და სტრემბებს მრავალი სადღებროდ დაუდგიათ რესპუბლიკის პრეზიდენტის ფორსისა.

პარიზი. ჩვენ ამას წინადა მოხსენებული გეპქელს, რომ კრატის მკვლავიანება ქაღალდი გაუგზავნეს ინგლისის დელოფელს ვიქტორიას და მფარველობა სთხოვეს, რადგან, როგორც ამბობდნენ, იმედა არ გვაქვს ბატონიშვილის გაორგისაო. როგორც ვახუშტის იუწყებან, ინგლისის გარეშე სამინისტროს მიუწერა კანკაში თავისის წარმომადგენელსათვის, გამოეცხადოს იქაურ მამადანთ, რომ ინგლისის დელოფელს არ შეიწყნარა მათი თხოვნა, რადგან ბატონიშვილია გიორგი ერთხანს მფარველობას გაუწევს კრატის ყველა მკვლავს, კრატისისა და სარწმუნოების განურწყელად.

რეგენტობის დადგენის შესახებ. ეს დედოფალი არეულობის დროს წინადაც მართავდა სახელმწიფოს და, აი, ახლაც, ამ დიდ არეულობის დროსაც საქარო შეიქმნა იმისი გამეფება. ახლად დაწყებული მოძრაობა ცვლილებათა მოსახდენად, რასაკვირველია, მაშინვე ჩაქრა. მხოლოდ დროებით, თუ სამუდამოდ—ამას, უეჭველია, მომავალი გვეტყვის.

ამაირად ჩინეთში, იაპონიასთან იმის შემდეგ, ერთი მეორეს მედგრად ებრძვის ორი დიდის და საშინარის სახელმწიფოს ინტერესები. და დაუსრულებელი ბრძოლა ამ ინტერესებისა საშინლად ხელს უშლის ჩინეთის აღორძინების დიადს საქმეს. დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ჩინეთი იაპონიასათვის ჩქარა და მშვიდობიანად ვეღარ გადაიქცევა განათლებულ ევროპულად განწყობილ სახელმწიფოდ. თუ ახლო მომავალში იმის ასტყდა აღმოსავლეთში, ინგლისისაკენ იქნება ახლად გაძლიერებული ამერიკის შტატებიც, იაპონიაც, რომელნიც რუსეთისაგან გულნატყენნი არიან და, შეიძლება, გერმანიაც.

ხომლოლი

**იბალია.** უკანასკნელ 2—3 წლას განმავლობაში სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ადგილას მომხდარ არეულობის გამო, იტალიის მთავრობის მიერ მრავალი ქალი და გაცი, სხვა და სხვა წოდებისა შოლიტიკურ დამსახურებად იქმნა ადარებული. პელუს ს მინისტრო იქნება მოწადინებული იყო ამ ტანჯულთა განთავისუფლებას, მაგრამ თავის თავად არ უნდა ამ საგნის შესახებ გითხვას ადგილას მარჯვენა. ესეა, როგორც გასული იქნებოდა, სამინისტროსად და მარჯვენა მისი მისი მისი ამ საგნის შესახებ მსჯელობა იქნებოდა და გარდაწყვიტეს ახლანდელი. დამატებითა შალატისთვის პეტრია (თსოკან) მიუთითებიათ, რომელზედაც 587,600 ქალს უწერია სული და 312,600 გაცს, რომელნიც შოლიტიკურ დამსახურებას მისი მისი მისი ეს სათხოვარი განსაკუთრებული კომისიის გარდაცა.

**დამაკვირდა**

არ მინდა მეტობად უკვლას მე გობრა. მოლიერი

ქმნა, რადგანაც კარგათ არ იცით საწარმოებია, უოფა ქრევა მანც კარგი ტქონდეთ.

ენისკოპოსი გაბრიელ

ოქთავე ამათ უშეკრება ფრად არს: სილაგად ჭაბუკი უშუქურესი ბერთა ახუ ბერ უსულუესი ჭაბუკთა; ერთსა ამას უკის საბრძე მსკაკი უამისა, ხოლო მას ძალი ადვირსმქელი საბრძეათა.

ნიკოლოზ ტფილელი

**მურხალ-გაზეთებიდან**

(ამოკრებილი ამბები)

აგერ ოცი წელიწადია, რაც ამერიკელი პოლიტიკოსი სულ იმის ზრუნვასა და ცდაშია, ისეთი გემი გამოიგონოს, რომელსაც წყლის ქვეშ შეიძლება სიარული. ამერიკისა და ესპანის შორის მომხდარმა ომმა ცოტათი ხელი შეუწავს ამ გემის გამოცდას. ესეა ამერიკელის უცდიან პოლიტიკოსის მიერ გაკეთებული მეექვსე გემი, რომელიც სწორედ რომ საუკეთესოა თურმე. გემი გაკეთებულია ლევი ნიკონის ქარხანაში. სიგრძე ამ გემისა 16 ადლია, სიგანე 3 ადლიზე მეტი. როცა საჭიროა გემი წყალში ჩავიდეს, ხოლო წყალს შეუშვებ და გემი ძირს ჩავა. შიგო როცა უნდათ, გემი ისევ ზევით ამოიყვანონ, წყალს გადმოასხავენ გემიდან და გემი ისევ ზევით ავა. ასეთი გემი მეტად საშიში იქნება მტრისათვის, რადგანაც ორიოდ ამ გემს გემს შეუძლიან მტრის მთელი ფლოტი გაანადგუროს.

რუსული ჟურნალი „П. И.“ სწერს, რომ პეტერბურგში იხვედნა დიდი რუკა ევროპაში მდებარე რუსეთისა. რუკა 150 თბსკარზინის ზომისა იქნება. რუკაზე აღინიშნება ყველა ქალაქი, სოფლები და სათითაო შენობა-კი. ამ რუკის ბეჭდვას მთელ წელიწადს მოუხდებიან და მერე პარიზში გაიგზავნება 1900 წლის გამოცემაზე.

კარგა ხანია, რაც სამხრეთის პოლიტიკოსი წავიდა ბელგიის ექსპედიცია და აგერ ამ წლის მარტის აქეთ არავითარი ამბავი არ მოსულა ამ ექსპედიციის შესახებ. მარტში-კი ამბავი მოვიდა ექსპედიციის წევრის რაკოვიჩისაგან, რომ გემი „ბელგია“ გრამის ადგილისაკენ მიდის. ჰქვირბენ, რომ იქ გემი ყინულებში მოექცედა. გემის უფროსმა გერლამა წასვლის დროსვე განაცხადა, 1899 წლამდე ჩვენგან ამბავს ნურა-

ვინ მოეღოს. სურსათი და ქვის ნახშირი ამ გემს საკმაოა აქეს.

ბოსტონში გარდაიცვალა ცნობილი მდიდარი კაცი ედვარდ იუსტინი, რომელსაც საქველმოქმედო საქმეებისათვის შეუწირავს 5 მილიონი მანათი.

ბოსტონში გარდაიცვალა, ორი ფოტოგრაფი შეიპარა თურმე ბოსტონის სასახლის ბაღში და ფანჯრიდან გადიდეს განსვენებულის ბოსტონის სურათი გასასყიდად. ბოსტონის ოჯახმა ამ ფოტოგრაფებს უჩივლა. სასამართლომ განიხილა ეს საჩივარი და ფოტოგრაფები უდანაშაულოდ სცნო.

ბერლინის ზოგიერთმა ვაჭრებმა გამოაცხადეს, ვინც ჩვენს დუქანში 5 მარკის საქონელს იყიდს, იმას მუქოდ მივცემთ ვექს ფოტოგრაფიულს სურათს, რომლებიც გადაღებული იქნება იმ დროს, როცა მუხტარი ვაჭრობს.

ინგლისელებმა ფონოგრაფი გამოიყენეს სადემოკრატიო იარაღად, ლეიტენანტი გარბიტონმა აბაშეთში წაიღო ფონოგრაფი, რომელშიაც ეწერა დედოფლის ვიქტორიას მიერ საგანგებოდ წარმოქმნილი სიტყვა. ფონოგრაფმა ეს სიტყვა წარმოთქვა მენელიკისა და იმის ამაღის წინაშე. მენელიკს ძლიერ მოეწონა ეს გამოცემა და ბრძანება გასცა დედოფლის ვიქტორიას პატივსაცემად ზარბაზნების დაკლა, ვინაიდანანო, უთქვამს მენელიკს, დედოფლის ვიქტორიას ხმა პირველად გაიგონეთ აბაშეთში.

ვენის რეისტრში უკანასკნელ კრების დროს წამოდგა ერთი ვარაუდი კაცი და დეპუტატებს უშვერის სიტყვებით ლანძღვა გინება დაუწყო. რა თქმა უნდა, ეს კაცი იმ წამსვე დააპატიმრეს და რადგანაც ძლიერ ადელეზული იყო, სულით ავადმყოფთა სამკურნალოში წაიყვანეს, გამოიყვანა დაამტკიცა, რომ ეს კაცი რუსეთის ქვეშევრდომი ყოფილა, ვარაუდი მემამულე ვალენტინ ცვანი, გზად გამოუვლია ვენაში და რეისტრს ს კრებებზე დადიოდა. ცნობის-მოყვარებობა იაფად არ ჩაუარა და ტყუაზედ შესცდა.

**ახალი წიგნები**

რედაქციამ მიიღო შემდეგი წიგნები რუსულს ენაზედ: 1, „Сборник арифметических задач для начальных училищ“ (კრებული საარითმეტიკო ამოცანათა პირველდაწყებით სასწავლებლებისათვის), პირველი ნაწილი. პირველა და მეორე წელიწადს სახმარებელი სასწავლებლებში და ასეთივე წიგნი მეორე ნაწილი, მესამე წელიწადს სახმარებელი; შედგენილი გ. ი. იურევჩის მიერ. წიგნები დაბეჭდილია პეტერბურგში. პირველი ნაწილი შეიცავს 83 გვერდს და ღირს 10 კაპ., ხოლო მეორე 70 გვერდს, ღირს უფროდ 10 კაპ., ყლით—13 კაპ. ორივე წიგნი მოზრდილის ფორმატისაა.

2, „Тифлисский Настольный Календарь“ 1899 წლისათვის, გამოცემული ვ. ა. გერტენშტეინის მიერ. კალენდარი დიდი ფორმატისაა და შეიცავს 170 გვერდს. კალენდარში მოთავსებულია მრავალი ცნობები სხვა-და-სხვა დაწესებულების შესახებ. ბოლოში სალიტერატურო განყოფილება აქვს დამატებული. ამ განყოფილებაში მოთავსებულია ქართულისა და სომხურის ენიდან გადათარგმნილი ლექსები.

**დეტემა**

16 დეკემბერი.

**პატივგზარბი.** 16 დეკემბერს, დილის 10 საათზე ლივადიდან ცარსკოე სელოში მომზრდნდნენ ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული უავგუსტოესის შვილებით. ვარაუდის რკინის გზის სამეფო შტოს ფარდულში მათს უდიდებულესობას მიეგებნენ: დიდი მთავარი ბორის და ანდრია ვლადიმერის ძენი, დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული, შინაგან საქმეთა მინისტრი, სამხედრო მინისტრი და გზათა მინისტრის ამხანაგი. სამეფო ფარდულის შესავალთან იდგნენ მისის უდიდებულესობის საპატიო დარაჯის ყაზახები. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული გამოზრდნდნენ ვაგონიდან, მიესალმნენ უავგუსტოესს ნათესავეთა და შემდეგ ჩამოუარეს მათს უდიდებულესობათა მისაგებებლად თავმოყრილ წარჩინებულ კაცთა. სამეფო ფარდულიდან მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ ეტლეებით წაბრდნდნენ ალექსანდრეს სასახლეში. გზაში გამწკრივებულნი იყვნენ საპატიო დარაჯისა და გრენადერთა რაზმის ჯარის კაცნი.

17 დეკემბერი

**პატივგზარბი.** ხელმწიფე იმპერატორსა, სამხედრო სამხედრო-სამკურნალო აკადემიის დაარსებულან ასის წლის შესრულების სახსოვრად, ბრძანა ნება ებოძათ მათ, ვინც აკადემიის სამსახურში არიან ებოღებულსა და პავონებულ იქონიონ აღნიშნული აკადემიის დამაარსებლის იმპერატორის პავლე I სახელი, ხოლო აკადემიის სტუდენტებს მუნდირზედ ლილები არწივებით.

ოლდენბურგის პრინცი, წამობრძანდა და თურქესტანიდან, ხელმძღვანელობა სასანიტარო საქმიანობა გენერალ-ლეიტენანტს ოზეროვსკის.

16 დეკემბერს დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდან პეტერბურგში დიდი

მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

**პარიზი.** საქსაციო პალოტამ მოისმინა ჩვენება ბარტუსი, შემდეგ—კაზიმირ პერეისი.

**პრანკ.** გუშინ ობერლანდმარშალის მიერ გახსნილ იქმნა ლანდტაგი. ნემენცია არც ერთი დეპუტატი არ დაესწრო.

**რამინენი.** 16 დეკემბერს აღმირალი სკრიდლოვი გამოეთხოვა ჯარსა და მცხოვრებელთ. ენისკოპოსმა სიტყვაში აღნიშნა აღმირალის ღვაძლი კუნძულის დამკვიდრების საქმეში ყველას დაენანა აღმირალის წასვლა. აღმირალმა მადლობა გარდაუხადა ჯარს, სამღვდლოებსა, ქალაქის წარმომადგენელთ, სკოლის მოსწავლეთ. მცხოვრებლების მოუთმენლოდ მოეღიან ბატონი შვილს.

ახლად დაბეჭდა წიგნი

**ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ЦЕРКВИ**

Книга I. Обращение картвельцев.

ფასი 40 კაპ.

და ისყიდება წ. კითხვისა და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მალაზიებში. იქვე ისყიდება იმავე ავტორის გამოცემანი:

ა) ისტორ. მართლმადიდებელ ეკლესიისა, ფასი 40 კაპ.

ბ) შოთა რუსთაველი, ფასი 40 კ.

გ) სამცხე, ფასი 25 კ.

დ) ქართლი, ფასი 25 კ.

ამათგან წიგნები „ა“ და „ბ“ მთავრობისაგან მოწონებულა სამრევლო სკოლებში სახმაროდ სკოლისაგან („одобрены в качестве книг для чтенія“), და წიგნები „გ“ და „დ“ სასკოლო-გაგეგმულა იმავე სკოლების (5—უ.—2)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г. НА**

два еженедельные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

**„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“**

основанные С. М. МАКАРОВОЮ и издаваемые под редакциею Н. Х. ВЕССЕЛЯ

XXIII-й годъ изданія

„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ въ 1899 году, по примѣру прежнихъ лѣтъ, будетъ выходить въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

**I. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“**  
журналъ для дѣтей младшаго возраста (отъ 5 до 10 лѣтъ)

**II. „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“**  
журналъ для дѣтей старшаго возраста (отъ 10 до 14 лѣтъ)

**ЗА ШЕСТЬ РУБЛЕЙ**

съ доставкою въ Петербургъ и съ пересылкою во все мѣста Россійской Имперіи (заграницу за 8 рублей) подписчики на „ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ для дѣтей младшаго возраста получатъ въ теченіе 1899 г. слѣдующія изданія:

52 №№ богато иллюстрированнаго журнала „Задушевное слово“, печатаемаго крупнымъ четкимъ шрифтомъ

Большую олеографическую картину художника ЛОБРИШОНА въ 18-ти краскахъ:

„ПОПРОСИ ХОРОШЕНЬКО“

БИБЛИОТЕЧКУ „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“

въ составъ которой войдутъ четыре книжки въ оригинальномъ форматѣ, съ раскрашенными и черными картинками:

1. „на досугѣ“

2. „дѣтскія пѣсенки“

3. „мальчикъ-съ-пальчикъ“

4. „дѣвочка съ башмачками“

Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористическіе рисунки и пр.

Кромя того, при каждомъ изданіи „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ будутъ разсылаться особыя приложенія для родителей

„ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛИСТОКЪ“

и

„ДѢТСКІЯ МОДЫ“

Подписная цѣна каждому изданію „Задушевнаго Слова“ со всеми преміями, съ доставкою и пересылкою. **6 Р.**

ЗАГРАНИЦУ 8 руб.

Подписная цѣна каждому изданію „Задушевнаго Слова“ со всеми преміями, съ доставкою и пересылкою. **6 Р.**

ЗАГРАНИЦУ 8 руб.

Допускается разсрочка платежа на три срока по два рубля: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февралю 1899 г. и 3) къ 1-му мая 1899 г.

ПОДПИСНОЙ ГОДЪ „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ НАЧАЛСЯ 1-ГО НОЯБРЯ 1898 Г.

Подписка на „Задушевное Слово“ принимается въ конторахъ журналовъ, при книжныхъ магазинахъ товарищества М. О. ВОЛЬФЪ: въ С.-Петербургѣ Гостиный дворъ, 18 и въ Москвѣ, Кузнецкій мостъ 12, а также и въ другихъ городахъ и мѣстечкахъ, у мѣстныхъ книгопродавцевъ.

(5—у.—1)